<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგის სერგი გორგაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ისტორიკოსის, ფილოლოგის სერგი გორგაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

<u>პროექტი</u>


X=485107 Y=4625519
X=485255 Y=4625494
სერგი ფორჯანაძის ქ.
სერგი ფორჯანაძის ქ.
X=485111 Y=4625449
I ფეხ.
X=485162 Y=4625459

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011770684585519

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 175493

22 / მაისი / 2019 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 20 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M19008961 განცხადებით მომართა მოქალაქე ლევანი მერაბიშვილმა (პ/ნ: 01036000767) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, ავჭალის ქ. ნომრის გარეშე (საკადასტრო კოდით N01.11.17.004.267).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N01.11.17.004.267) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სახელდებისა

და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს ქ-ნ

თინათინ ნიბლოშვილს,

მოქალაქე ნინო გაგელიძის

პ/ნ 01001060873 ტელ: 599 07 80 14

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ თხოვნით.

თემქა მეხიანის მიმდებარედ, ავჭალა ერთის დასახლებაში საკადასტრო კოდი: 01.11.17.001.351 გამავალ უსახელო დასახლებას მიანიჭოთ ქუჩის სახელი და გვიშუამდგომლოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რათა მოხდეს ქუჩის სისტემური ნუმერაცია.

ხელმოწერა:

თარიღი 20.11.2017

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მოქ. [illegible]

მცხ. [illegible]

ტელ. 5 99 50 88 54

პ/ნ: 01007003698

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ამ წლის 2019 06.03 19/03/19 [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] რომ ქ.ს.ს „მეტრო 2002"-ის [illegible] [illegible].

გაცნობებთ, რომ [illegible] [illegible].

[illegible] ქ.ს.ს მეტრო 2002-ის და [illegible] [illegible] [illegible].

[illegible]

1. [illegible] 01008003698

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: 03-031909170
თარიღი: 01/04/2019
პინი: 8365

ადრესატი: რუსუდან ბერიძე
პირადი ნომერი: 01008003698
მისამართი: ზღვის უბნის დას. მე-3 მ.რ-ნი, კვარტ. 1, კორპ. 11, ბ. 44

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2019 წლის 6 მარტის N19/03190657-03 წერილი, რომლითაც ითხოვდით მუხიანის სამხედრო დასახლებაში, უსახელო ქუჩის სახელდებას.

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განცხადებაში მითითებული ტერიტორიის სახელდების საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ იმსჯელა, თუმცა როგორც დგინდება გზის მონაკვეთი, რეგისტრირებულია შპს "მუხიანი 2002"ის კერძო საკუთრებად (ს.კ. 01..11.17.004.327) ვინაიდან ხსენებული მონაკვეთი წარმოადგენს თქვენი და თქვენს მეზობლად მდებარე სახლებამდე მისასვლელ ერთადერთ სამანქანო გზას, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას მოახდინოს გზათა ქსელის მომზადება და სახელდება მისი გამოტოვებით. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ არაერთხელ სცადა, რათა ხსენებულ შპს-ს ფართის უცვლელად მოეხდინა მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება იმ ფორმით, რომ დარჩენილიყო თავისუფალი სივრცე ქუჩის დასაპროექტებლად, ხსენებულ პროცესში ასევე ჩართული იყო მერიის ქონების მართვის სააგენტოც. თუმცა ამ დრომდე კონკრეტული შედეგები დამდგარი არაა.

შესაბამისი სამართლებრივი პირობების შექმნის შემთხვევაში მზად ვართ ვიმსჯელოთ თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თინათინ ნიბლოშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

[illegible]

[illegible]

1. [illegible] 0100100[illegible]
2. [illegible] 3300100242
3. [illegible] 0100103941[illegible]
4. [illegible] 59[illegible]
5. [illegible]
6. [illegible] 38[illegible]
7. [illegible]
8. [illegible] 0100[illegible]
9. [illegible] 0100[illegible]
10. [illegible] 0150110[illegible]
11. [illegible] 1700101[illegible]
12. [illegible] 0101[illegible]
13. [illegible] 0100[illegible]
14. [illegible]
15. [illegible] 3800[illegible]
16. [illegible] 0101[illegible]
17. [illegible] 0102[illegible]
18. [illegible] 0150[illegible]

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 892018985874 - 13/11/2018 10:38:21	16/11/2018 10:50:38

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	11	17	004/433

მისამართი: ქალაქი თბილისი , ავჭალა I-ის დასახლება

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაბუსტებული ფართობი: 50.00 კვ.მ.
საკვეთის წინა ნომერი: 01.11.17.004.129;
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01/1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018985874 , თარიღი 13/11/2018 10:38:21
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 16/11/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:13/11/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
რუსუდან ბერიძე ,P/N: 01008003698

მესაკუთრე:	აღწერა:
რუსუდან ბერიძე	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-031915681**
თარიღი: **05/06/2019**
პინი: **7681**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადააამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას 2019 წლის 22 მაისის საქმე #04-031914260-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ლევანი მერაბიშვილის N M19008961 განცხადების საფუძველზე ითხოვს ავჭალაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას (ს.კ.01.11.17.004.267).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
მოგმართავთ თხოვნით, ნახაზი მოამზადოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 67-01191614085
თარიღი: 10/06/2019
პინი: 6777

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 05.06.2019 წლის #03-031915681 (05.06.2019წ. #14-01191563475-67) განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გზის მოწყობა გამოიწვევს არსებული საკადასტრო ერთეულების (01.11.17.004.327, 01.11.17.004.306) საზღვრების ცვლილებას, რისთვისაც სამსახურს ესაჭიროება აღნიშნული მესაკუთრეების თანხმობა. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური დაუბრუნდება მოცემულ საკითხზე მსჯელობას.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების თანახმად მოქმედი ქალაქმშენებლობითი სამშენებლო ნორმების და წესების (СНиП 2.07.01-89) მიხედვით საცხოვრებელ განაშენიანებაში სამოძრაო ზოლის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 3 მეტრი, 2 სამოძრაო ზოლით, ქვეითად სავალი ნაწილის სიგანე კი - 1,0-1,5მ.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: 03-031803349
თარიღი: 02/02/2018

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა
მისამართი: გლდანი - ქალაქი თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. #1გ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის
გამგებელს ბექა მიქაუტაძეს

ბატონო ბექა,

როგორც მოგეხსენებათ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს საქმისწარმოების პროცესი ავჭალა I-ის დასახლებაში უსახელო ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის იანვრის თვეში კომისიის მიერ ადგილზე მოხდა ტერიტორიის შესწავლა და მოსახლეობასთან გასაუბრება. როგორც ირკვევა გზის გარკვეული მონაკვეთი, რომლის სახელდებაზეც არის საუბარი, მოქცეულია შპს "მუხიანი 2002"-ის (ს/კ 200077629) საკუთრებაში არსებული 01.11.17.004.327 საკადასტრო ერთეულის წითელი ხაზები.

როგორც მოქალაქეებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, გლდანის გამგეობისა და ხსენებული შპს-ის ხელმძღვანელობას შორის ყოფილა მოლაპარაკება მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების ფართის უცვლელად კორექტირებასთან დაკავშირებით.

მოგმართავთ თხოვნით, შეისწავლოთ ხსენებული გარემოებები და თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში განიხილოთ მოლაპარაკების პროცესი შპს "მუხიანი 2002"-ის ხელმძღვანელობასთან, რათა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ მოახდინოს ქუჩის სახელდება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისია კომისიის თავმჯდომარე

თინათინ
ხიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გლდანის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
GLDANI DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **34-01180573474**
თარიღი: **26.02.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობაში წარმოდგენილი თქვენი 2018 წლის 02 თებერვლის №03-031803349 წერილის (რეგისტრაციის №19-01180331923-34) პასუხად გაცნობებთ, რომ გამგეობის ჩართულობით ნამდვილად მიმდინარეობდა მოლაპარაკება მუნიციპალური ქონების განკარგვაზე უფლებამოსილ ორგანოს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მუხიანი 2002"-ის ხელმძღვანელობას შორის, მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების ფართის უცვლელად კორექტირების თაობაზე, თუმცა მხარეთა შორის შეთანხმება ვერ შედგა.

პატივისცემით,

გლდანის რაიონის გამგეობა - პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(გამგებელი)

ბექა მიქაუტაძე

04-03/90147-03

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

MES 0 19 00019597

ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔᲦᲘᲜ

10/01/2019

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

უპირველეს ყოვლისა გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდ წარმატებებს. ასევე, დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ იმ ყურადღებისთვის, რომელიც გამოიჩინეთ ცნობილი მეცნიერის ილია აბულაძის ხსოვნის უკვდავყოფის კუთხით, რაც გამოიხატა მისი სახელის თბილისის ერთ-ერთი მოედნისთვის მინიჭებაში. საქართველოსა და ჩვენი კულტურისთვის მოამაგე ცნობილ (და ზოგჯერ მივიწყებულ) მოღვაწეთა სახელების მინიჭება თბილისის ამა თუ იმ ქუჩისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, არა მარტო ამ მოღვაწეების შრომის და ღვაწლის დაფასების, არამედ ჩვენს ახალგაზრდა თაობაში მათი სახელების არდავიწყების თვალსაზრისით.
ამ საქმის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე გთხოვთ თბილისის საკრებულომ განიხილოს ცნობილი ქართველი მოღვაწეების: ისტორიკოს-ფილოლოგის და საზოგადო მოღვაწის სერგი გორგაძის, პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორის (თსუ შენობის პროექტის ავტორის) და საზოგადო მოღვაწის სიმონ კლდიაშვილის და ცნობილი ხელნაწერთმცოდნის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელების თბილისის ქუჩებისთვის მინიჭების საკითხი. ამასთან გაახლებთ ამ მოღვაწეების მოკლე ბიოგრაფიებს (იხ. დანართი).

წინასწარ გიხდით მადლობას,

ღრმა პატივისცემით,

ზაალ აბაშიძე
დირექტორი
სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ზ. აბაშიძე

სერგი გორგაძე (1876-1929) გამოჩენილი მეცნიერი-ფილოლოგი და ისტორიკოსი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამომცემელი. ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დამაარსებელი, გამგეობის წევრი და უცვლელი მდივანი. ქართული სამეცნიერო საეკლესიო ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი. ქართული ლიტერატურის სასკოლო ქრესტომათიების პირველი შემდგენელი. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორი და ქართული ლექსთწყობის შესახებ პირველი წიგნის ავტორი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01200594044**
თარიღი: **28/02/2020**
პინი: **8053**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 20.02.2020 წლის #03-032005173 (20.02.2020წ. #14-01200511974-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



სერგი გორგაძე

(1876-1929)

ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი და პედაგოგი.

დაიბადა ზესტაფონის რაიონის ს. ილემში. 1886 წელს შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1890 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი; 1897 წელს — თბილისის სასულიერო სემინარია ხოლო შემდეგ — ყაზანის სასულიერო აკადემია.

1901 წელს მიენიჭა კანდიდატის ხარისხი. მისი უმთავრესი ისტორიული ნაშრომებია: „წერილები საქართველოს ისტორიიდან“ , „საქართველოს მე-18 საუკუნის სამხედრო ისტორიის მასალები“ და სხვ. გორგაძე ავტორია ქართული ვერსიფიკაციის პირველი სისტემური კურსისა „ქართული ლექსი“, რომელშიც განხილულია მახვილის, მეტრიკის, სტროფიკის, რითმისა და ლექსის კომპოზიციის საკითხები. მან შეადგინა ქართული ლიტერატურის ქრესტომათიები: „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, „ჩვენი ახალი მწერლობა“ და სხვ. მანვე გამოსცა ბესიკის თხზულებანი, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“. საყურადღებოა გორგაძის გამოკვლევა „ქართული სადასიტყვაობა“, რომელიც ქართული წინადადების საკითხებს ეძღვნება. თავისი დროისათვის ძალზე საჭირო წიგნად იყო მიჩნეული აგრეთვე მისი „ქართული მართლწერა“.

სერგი გორგაძის პირადი არქივი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რომლის დიდი ნაწილიც ქეთევან და დავით აბესაძეებმა 2006 წელს შემოსწირეს.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.